სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05.04/217

ქ. თბილისი 5 09 2018

სტუ-ში 2018-2019 სასწავლო წლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 სექტემბრის №01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 ივლისის №01-05-4/180 დადგენილებაში, რომელიც ეხება სტუ-ში 2018-2019 სასწავლო წლის დაწყების თარიღს და ის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით, რომ 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრი აკადემიური უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის სტუდენტებისათვის დაიწყოს 2018 წლის 8 ოქტომბერს.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე